

საქართველოს ეროვნული ბანკი აცხადებს ვაკანსიას **სპეციალიზებული ჯგუფებისა და საზედამხედველო პოლიტიკის დეპარტამენტის კორპორაციული მართვისა და საზედამხედველო პოლიტიკის განყოფილების მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე.**

სებ ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ინსტიტუტია. საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ერთობლივი FSAP შეფასების მიხედვით, სებ-ის საზედამხედველო პრაქტიკა მაღალი ხარისხით შეესაბამება საერთაშორისო საბანკო ზედამხედველობის ძირითად პრინციპებს და, რიგ საკითხებში, მისი ინოვაციური მიდგომები მაგალითს წარმოადგენს განვითარებული ქვეყნებისთვისაც. მისი თანახმად, შთამბეჭდავია ზედამხედველების კვალიფიკაცია. 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის შემდგომ ფინანსური სექტორის ზედამხედველობა ერთ-ერთი ყველაზე დინამიურად განვითარებადი სფეროა. საერთაშორისო დონეზე მიმდინარეობს ახალი საზედამხედველო ჩარჩოს შემუშავება რომელშიც სებ-ის თანამშრომლებიც, ბაზელის საკონსულტაციო კომიტეტის მეშვეობით, ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას.

**სამუშაოს სპეციფიკა:** პოზიცია მოიცავს დინამიურ და მრავალმხრივ სამუშაოს საინტერესო და ძლიერი პროფესიონალების გუნდში, რაც საშუალებას აძლევს დასაქმებულს სრულად წარმოაჩინოს და განავითაროს თავისი შესაძლებლობები, მათ შორის, შიდა და ორგანიზაციის გარეთ ტრენინგების მეშვეობით.

#### **მოვალეობები:**

- საფინანსო სექტორის საზედამხედველო პრაქტიკასთან დაკავშირებულ კვლევებში მონაწილეობის მიღება, საუკეთესო პრაქტიკის ანალიზი და ზედამხედველობის გაუმჯობესების მიზნით, არსებულ პრაქტიკაში ცვლილებებზე შეთავაზებების განხორციელება.
- საფინანსო სექტორის წარმომადგენლებისათვის არსებული საზედამხედველო პოლიტიკის განახლებაში მონაწილეობის მიღება.
- ბაზელ III-ის სტანდარტების დანერგვაში მონაწილეობის მიღება.
- კომერციული ბანკების საზედამხედველო კაპიტალის ინსტრუმენტების ანალიზი.
- კომერციული ბანკების კორპორაციულ მართვის, ზოგადი რისკების მართვის სტრუქტურის, მფლობელობის სტრუქტურის, ინვესტიციების, რესურსების შეფასებაში მონაწილეობის მიღება.
- ზედამხედველობის პროცესში ბანკებისგან მიღებული ანგარიშგებებისა და მონაცემების დამუშავება, მონიტორინგი.
- საბანკო ჯგუფების კონსოლიდირებული ზედამხედველობის დანერგვაში მონაწილეობის მიღება;
- კომერციული ბანკების მფლობელობის სტრუქტურისა და აქციონერებზე ინფორმაციის მოძიება-დამუშავება, ჯგუფის დონეზე ტრანზაქციების შესწავლა და ინტერესთა კონფლიქტის ანალიზი, კომერციული ბანკების ინვესტიციებისა და შვილობილი კომპანიების შესახებ ინფორმაციის ანალიზი და სისტემატური მონიტორინგი.

- კომერციული ბანკების რესურსებისა და საერთო რისკის შეფასების მეთოდოლოგიის გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი კვლევების და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვაში მონაწილეობის მიღება.
- ასოცირების შესახებ შეთანხმებით განსაზღვრული საბანკო საქმიანობასთან დაკავშირებული დირექტივების მოთხოვნების ანალიზში მონაწილეობის მიღება;
- არსებული საბანკო რეგულაციების ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებულ დირექტივებთან დაახლოების მიზნით, შესაბამისი ცვლილებათა პროექტების მომზადებაში მონაწილეობა.

#### **აუცილებელი მოთხოვნები:**

- განათლება: უმაღლესი (სასურველია მაგისტრის ხარისხი ეკონომიკურ სფეროში);
- მუშაობის გამოცდილება: საფინანსო სფეროში მუშაობის 2 წლის გამოცდილება;
- კომპიუტერული პროგრამები: MS Excel, MS Word, MS Outlook, MS Powerpoint - კარგად
- ე) უცხო ენები: ინგლისური ენა - B2; რუსული ენა - B1

**საკანონმდებლო ბაზა:** „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი; „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი; საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობის მარეგულირებელი წესები და ინსტრუქციები;

წერიტი დავალება გულისხმობს ტესტურ დავალებას, სადაც წარმოდგენილი იქნება ფინანსებთან, ეკონომიკასა და ზოგად უნარებთან დაკავშირებული კითხვები.

ტესტი არის 40 ქულიანი და მომდევნო ეტაპზე გადავლენ კანდიდატები, რომლებიც გადალახავენ 60%-იან ზღვარს.

#### **კომპეტენციები:**

- გარე ან/და შიდა მომხმარებელის მომსახურებაზე ორიენტირებულობა;
- წერილების, ანგარიშების, შეთავაზებების მომზადება;
- კრიტიკული აზროვნება;
- შედეგზე ორიენტაცია;
- დამოუკიდებლად მუშაობა;
- ინოვაციების ინიცირება და მართვა;
- მოქნილობა და ცვლილებებზე ადაპტურობა;
- ცოდნის მართვის და გაზიარების სისტემების დანერგვა და გამოყენება;
- სტრესის ზემოქმედების ქვეშ მუშაობა.

თანამდებობრივი სარგო: 3729 ლარი (დარიცხული)

კონკურსის ფორმა:

კონკურსი ჩატარდება ტესტირებისა და ინტერვიუს სახით.